ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060607

ქვეპროგრამის დასახელება:

მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2024 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	131,760
სულ ბიუჯეტი:	131,760

ქვეპროგრამის მიზანი:

მზრუნველობამოკლებულ (სახელმწიფო მზრუნველობის შეწყვეტის შემდეგ) პირთა მატერიალური მხარდაჭერა, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობა, საზოგადოებაში სრული რეინტეგრაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 18-დან 25 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც აღარ იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვაში, არ ჰყავთ თანადგომის ქსელი და ვერ ხერხდება მათი ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია. ქვეპროგრამა აქტუალურია იმითაც, რომ სახელმწიფო მზრუნველობის შეწყვეტის შემდეგ მათი უმრავლესობა განიცდის არამარტო ეკონომიკურ პრობლემებს, არამედ არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი. ქვეპროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს მათი მატერიალური მდგომარეობისა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას, პროფესიული განათლების მიღებისა და შემდგომი დასაქმების პერსპექტივით, რისთვისაც დღიური დაფინანსების ოდენობა შეადგენს 15 ლარს, ხოლო შშმ სტატუსის მქონე ბენეფიციარისათვის - 30 ლარს.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

1. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის დასკვნა (ქვეპროგრამაში პირველადი ჩართვის შემთხვევაში);
2. ბენეფიციარის განცხადება;
3, ბენეფიციარის პირადობის მოწმობის, ხოლო ბენეფიციარის წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე, წარმომადგენლის პირადობის მოწმობის (ან სხვა დოკუმენტის, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია) ასლები;
4. დახმარების მიმღები პირის საბანკო რეკვიზიტი;
5. ბენეფიციარის საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის მისამართისა და რეგისტრაციის თარიღის თაობაზე.

ბენეფიციარს/ბენეფიციარის წარმომადგენელს ყოველთვიურად ჩაერიცხება თანხა საბანკო ანგარიშზე.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ 1 წელზე მეტი ვადით (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ) და ვეღარ სარგებლობენ "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით".

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მზრუნველობამოკლებულ პირთა მატერიალური დახმარება	20	5,490	109,800
შშმ სტატუსის მქონე მზრუნველობამოკლებულ პირთა მატერიალური დახმარება	2	10,980	21,960
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			131,760

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
თანხის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა მატერიალური, ფსიქოსოციალური და ყოფითი პირობები გაუმჯობესებულია.

ფორმა # 3.2

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა მატერიალური, ფსიქოსოციალური და ყოფითი პირობები გაუმჯობესებულია	ბენეფიციართა რაოდენობა	22	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი